

საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
სოციალური მომსახურების სააგენტო

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030407344418514

04-277/ო

27 / აგვისტო / 2014 წ.

**„სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ამონაწერის ფორმის და მისი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 02 აპრილის N04-84/ო ბრძანებაში შესატანი ცვლილებისა და დამატებების თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის 190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ამონაწერის ფორმის და მისი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 2 აპრილის N04-84/ო ბრძანებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება და დამატებები:

ა) ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან“ გასაცემი ამონაწერის ფორმა (დანართი N1) ჩამოყალიბდეს წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული რედაქციის სახით;

ბ) ბრძანების მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი რედაქციის „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები:

“დ) ამონაწერის გაცემისას აუცილებელია, დაფიქსირდეს ამონაწერის გამცემი პასუხისმგებელი პირის

სახელი, გვარი (გარკვევით), ხელმოწერა და დაესვას ბეჭედი;

ე) სააგენტოს ცენტრალური ოფისიდან ამონაწერის გაცემის უფლებამოსილება (ხელმოწერა და ბეჭდის დასმა) მიენიჭოს სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველოს საზოგადოებრივ მისაღებში მომუშავე თანამშრომლებს;

ვ) სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ მათ სამოქმედო ტერიტორიულ ერთეულებში ამონაწერის გაცემაზე უფლებამოსილი პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა/გამოყოფა.”

2. ამ ბრძანების ძალაში შესვლამდე გაცემულ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან“ ამონაწერის ფორმებს შეუნარჩუნდეთ იურიდიული ძალა, ამავე ფორმებით გათვალისწინებული ვადის გასვლამდე.

3. სააგენტოს სოციალური დახმარებების ადმინისტრირების დეპარტამენტმა (გ. აფხაზავა) მეთოდური დახმარება გაუწიოს სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებს ამ ბრძანებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაში.

4. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ. გოგოლაძე) უზრუნველყოს, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის (დეს) მეშვეობით, წინამდებარე ბრძანების დაგზავნა სააგენტოს ყველა სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულისათვის და მისი განთავსება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე - [www.ssa.gov.ge](http://www.ssa.gov.ge).

5. ბრძანება ამოქმედდეს 2014 წლის 1 სექტემბრიდან.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელ ი



გიორგი თალაკვაძე



სსიპ - სოციალური  
მომსახურების  
სააგენტო

**ამონაწერი**  
სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან

ოჯახი საიდენტიფიკაციო N

მომზადების თარიღი

ოჯახის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი

ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი

ოჯახის წევრთა პერსონალური მონაცემები				
N	სახელი, გვარი	დაბ/თარიღი	პ/ნომერი	შენიშვნა
1				
2				
3				
4				
5				
6				
7				
8				
9				
10				
11				
12				
13				
14				
15				
16				

მოქმედი სარეიტინგო ქულა	
ქულის მინიჭების თარიღი	
დეკლარაციის შევსების თარიღი	

გასული პერიოდის სარეიტინგო ქულები			
N	სარეიტინგო ქულა	დეკლარაციის შევსების თარიღი	ქულის მინიჭების თარიღი
1			
2			
3			

გასულ პერიოდში მიღებული შემწეობა	
	0.00
	0.00
	0.00
	0.00
	0.00
	0.00

-----  
პასუხისმგებელი პირის გვარი, სახელი,  
ხელმოწერა



